



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 87/ს  
17/05/2022

87-21-4-202205170950



**ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭყვიშში, საქართველოს საავტომობილო გზების  
დეპარტამენტის მიერ მდ. ყუმურის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების  
განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილია ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭყვიშში, მდ. ყუმურის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ავარიული უბანი მდებარეობს ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭყვიშში, მდ. ყუმურის მარცხენა სანაპიროზე. საკვლევ უბანზე განვითარებულია ინტენსიური გვერდითი ეროზიული პროცესები, რის შედეგადაც ირეცხება მდინარის მარცხენა ნაპირი და საფრთხის ქვეშ ექცევა 60-70 წლის წინ აშენებული დატბორვის საწინააღმდეგო დამბა, საცხოვრებელი სახლები და საკარმიდამო მიწის ნაკვეთები. ავარიული უბნის დასაცავად და პროგრესირებადი ეროზიული პროცესების შესაჩერებლად, პროექტის ფარგლებში, მდ. ყუმურის მარცხენა სანაპიროზე გათვალისწინებულია ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება და 465 მ სიგრძის, მარტივი კონსტრუქციის ქვანაყარი ბერმის მოწყობა. საპროექტო დერეფნის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია: X-288176.538, Y-4667522.408; X- 287965.933, Y-4667544.958. საპროექტო ნაპირდამცავი ნაგებობის განთავსების ადგილიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დამორებულია 405 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, პროექტით გათვალისწინებული ქვანაყარი ბერმის საანგარიშო სიმაღლე, მდინარის უმცირესი ნიშნულიდან, შეადგენს 4,6 მ-ს, თხემის სიგანე - 4,5 მ-ს, ხოლო ფერდობების დახრილობა 1,5 მ-ს. ნაპირსამაგრი ნაგებობის ამგები ლოდების საანგარიშო ფართობი შეადგენს 2,4-2,6 ტ/მ<sup>3</sup>-ს, ხოლო დიამეტრი - 0,6 მ-ს. ნაპირდაცვითი ნაგებობის ერთ გრძივ მეტრზე საშუალოდ გათვალისწინებულია 17 მ<sup>3</sup> მოცულობის ფლეთილი ლოდები.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნაპირდამცავი ნაგებობა გაანგარიშებულია მდ. ყუმურის ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. მდ. ყუმურის სიგრძეა 28 კმ, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი - 83,7 კმ<sup>2</sup>. დოკუმენტის თანახმად, 100 წლიანი მაქსიმალური ხარჯი, საპროექტო უბანზე, შეადგენს 328 მ<sup>3</sup>/წმ-ს. მდ. ყუმურის კალაპოტის

ზოგადი წარეცხვის საშუალო სიღრმე 3,04 მ-ია, ხოლო კალაპოტის ზოგადი წარეცხვის მაქსიმალური სიღრმე - 6,1 მ.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაპირდაცვითი სამუშაოების პირველ ეტაპზე განხორციელდება დროებითი მისასვლელი გზის მოწყობა და ქვაბულის მისაღებად გრუნტის ექსკავატორით დამუშავება. დამუშავებული გრუნტი დროებით განთავსდება საპროექტო ტერიტორიაზე, შემდგომი გამოყენებისთვის. ბერმის თხემის მოხრეშვა დაგეგმილია ბალასტით, რომელიც გამოყენებული იქნება სამშენებლო ტექნიკის დროებით სამომრად, ხოლო ნაპირსამაგრი ნაგებობის უკან მოეწყობა უკუყრილი. სამშენებლო სამუშაოების შემდგომ ეტაპზე განთავსდება ქვანაყარი ბერმა და ჩალაგდება ფლეთილი ლოდები. ნაპირდაცვით სამუშაოებში გამოყენებული იქნება თითო ბულდოზერი და ექსკავატორი, ასევე 5 ცალი ავტოთვითმცლელი. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, სამშენებლო ბანაკის და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. სამშენებლო მოედანზე მოხდება მხოლოდ ქვანაყარი ბერმის ასაგებად საჭირო ფლეთილი ლოდების შეტანა. ნაპირდაცვითი სამუშაოების ჩატარებისათვის გამოყენებული ტექნიკა, სამუშაო დღის დასრულების შემდეგ, დაუბრუნდება შერჩეული დისლოკაციის ადგილს. ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 4 თვეს და მშენებლობაზე დასაქმდება დაახლოებით 15 ადამიანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. ქვანაყარი ბერმის მშენებლობის პერიოდში, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყაროები იქნება ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სამშენებლო ტექნიკა, რომლებიც იმუშავებენ მონაცვლეობით. ასევე, უმნიშვნელო ამტვერება მოხდება ინერტული მასალების მართვის პროცესში, რასაც ექნება დროებითი ხასიათი და არსებით ზემოქმედებას ვერ მოახდენს გარემოს ფონურ მდგომარეობაზე. დაგეგმილი სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობისა და საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილის (405 მ) გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების პროცესში, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს სამშენებლო ტექნიკა და ავტოსატრანსპორტო საშუალებები. სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობისა და უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი. ამასთან აღსანიშნავია, რომ სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, მდ. ყუმურის და გრუნტის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, სამშენებლო ტექნიკისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, სამშენებლო მოედანზე დაწესდება შესაბამისი კონტროლი. სკრინინგის განცხადების თანახმად, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება დაგეგმილია წყალმცირობის პერიოდში, რაც იძლევა ტექნიკის წყალში ხანგრძლივად დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას. ნაპირსამაგრი სამუშაოების

განხორციელების შემდგომ, შემცირდება ეროზიული პროცესებით გამოწვეული წყლის სიმღვრივის მატების რისკი, რაც დადებითად აისახება იქთიოფაუნაზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების დროს მოსალოდნელია სახიფათო და არასახიფათო, კერძოდ, საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა. წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში და გატანილი იქნება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე. სახიფათო ნარჩენები (მაგ. ზეთებით დაბინძურებული ჩვრები, და სხვა) დროებით დასაწყობდება სამშენებლო მოედანზე, ცალკე გამოყოფილ სათავსოში და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. სამუშაოების დასრულების შემდგომ საპროექტო ტერიტორია მოწესრიგდება და აღდგება სანიტარული მდგომარეობა.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და ჩატარებული კვლევის შედეგები. საკვლევ უბანზე გამოვლენილი იქნა გრუნტების 3 სახესხვაობა: სგე 1 - თიხნარი რუხი ფერის, ნახევრად მკვრივი, სუსტად ტენიანი, კენჭნარის ცალკეული ჩანართებით, რომლითაც აგებულია ტერასის საფეხურები); სგე 2 - კენჭნარი საშუალო და წვრილმარცვლოვანი ქვიშის შემავსებლით, რომელიც წარმოდგენილია მდინარის ჭალა-კალაპოტში და სგე 3 - ლამი ქვიშნაროვანი ლამოვანი გრუნტები, რომლებიც გავრცელებულია უშუალოდ მდინარის კალაპოტში. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) სირთულის კატეგორიას. ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების პროცესში არსებულ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე მაღალი ეკოლოგიური ღირებულების ხე-მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. საპროექტო არეალში მცენარეული საფარის სიმცირე განპირობებულია ინტენსიურად მიმდინარე ეროზიული პროცესებით, ამასთან, საპროექტო დერეფანი წარმოადგენს მდინარის სანაპირო ზოლს, რომელიც ალუვიური ნატანითაა აგებული. გარდა ამისა, მიმდებარე ჭალა მუშავდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. აღნიშნულ არეალში ფიქსირდება მხოლოდ ბუჩქოვანი მცენარეები. ანთროპოგენური დატვირთვის და მცენარეული საფარის სიმწირის გამო, საპროექტო ტერიტორიაზე ცხოველებისთვის ხელსაყრელი საბინადრო გარემო წარმოდგენილი არ არის და შეინიშნება მხოლოდ ადამიანის სამეურნეო საქმიანობას ადვილად შეგუებადი სახეობები. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არ ფიქსირდება არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაცული ტერიტორიები და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გავრცელებულია „წითელი ნუსხის“ სახეობები. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შემდეგ, შემცირდება სანაპირო ზოლზე მიმდინარე ინტენსიური ეროზიული პროცესების გავლენა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება რეაბილიტირებული საპროექტო მონაკვეთის მდგომარეობა და ვიზუალურ-ლანდშაფტური თვალსაზრისით, ბუნებრივი ქვით მოწყობილი ნაგებობა დადებითად შეერწყმება გარემოს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაგზავნილი იქნა ვანის მუნიციპალიტეტის მერიაში საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან,

აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

მდ. ყუმურის ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება წარმოადგენს გარემოსდაცვით ღონისძიებას, რაც უზრუნველყოფს მდინარის სანაპირო ზოლის ეროზიული ზემოქმედებისგან დაცვას.


სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკისა და მასშტაბის გათვალისწინებით, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჭყვიშში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მდ. ყუმურის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ვანის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი  
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო